ბრძანება:**ბ24.242224915**
თარიღი:**06/09/2022**

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ (ს/ნ 420433604) წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 106[1] მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ (ს/ნ 420433604) წესდებაში და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით თანდართული სახით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ (შემდგომში „სკოლა“) დაფუძნებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის (ს/კ 220418956) მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ შესაბამისად და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს.
2. სკოლა არ არის წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული.
3. სკოლა წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.
4. სკოლის:
ა) სრული სახელწოდება და სამართლებრივი ფორმაა - კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“;
ბ) იურიდიული მისამართია: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N79 (ს/კ 43.34.03.105.01.515).
გ) ელექტრონული ფოსტის მისამართია: sakhelovnebogaertianeba@gmail.com
5. სკოლას:
ა) შესაძლებელია ჰქონდეს ბეჭედი და ბლანკი, რომელიც არ წარმოადგენს სავალდებულო ატრიბუტს სკოლის წარმომადგენლობის განხორციელებისას;
ბ) აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნის საბანკო დაწესებულებებში;
გ) უფლება აქვს დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.
6. სკოლას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართის მიღების მომენტიდან. ცენტრი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით შეადგინოს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

მუხლი 2. სკოლის საქმიანობის მიზნები

1. სკოლის საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

ა) სკოლისგარეშე სააღმზრდელო-საგანმანათლებლო და ესთეტიკური მუშაობა, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვა;

ბ) ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება და პოპულარიზაცია (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, აფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება, საგუნდო-სამუსიკო განათლება, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, სახვითი ხელოვნება);

გ) მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა;

დ) მოსწავლეებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის;

ე) მოსწავლეები აზიაროს მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნების საფუძვლებს;

ვ) მოსწავლეებს გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები;

ზ) კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები;

თ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე;

ი) სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების, გამოფენების, შეხვედრების, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა - კონკურსების, ექსპედიციების, საქველმოქმედო აქციების ჩატარება;

კ) გაცვლითი პროგრამების ფარგლებში კონცერტების გამართვა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქალაქის მოზარდთა დამეგობრების მიზნით;

ლ) მოზარდებში ეროვნული კულტურის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის და სხვა ერების კულტურისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება;

მ) მოზარდთა აქტიური ჩართულობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს - ფესტივალებსა და სხვა სახის ღონისძიებებში;

ნ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია:

1. ადმინისტრაციული განყოფილება
2. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილება
3. N1 სამუსიკო სკოლა
4. N2 სამუსიკო სკოლა
5. საგუნდო-სამუსიკო სკოლა
6. სამხატვრო სკოლა

მუხლი 4. სკოლის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. სკოლის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან

ათავისუფლებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი (შემდგომში - „მერი").

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის დისციპლინარული და წამახალისებელი ზომების შესახებ.

3. დირექტორი:

ა) სკოლა საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს სკოლის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) პასუხს აგებს ორგანიზაციის საქმიანობაზე;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მერთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო ნუსხას, სახელფასო ფონდსა და მუშაკთა სახელფასო განაკვეთებს.

დ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

ვ) გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ზ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" შესაბამისად ნიშნავს (დებს შრომით ხელშკრულებებს) და ათავისუფლებს სკოლის თანამშრომლებს, მათ მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ საქმიანობაზე;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებლივ აქტს - ბრძანებას. ამტკიცებს სკოლის შინაგანაწეს, სამუშაო გეგმებს, აკონტროლებს მათ შესრულებას. კანონის შესაბამისად ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;

ი) წელიწადში ერთხელ მაინც, აგრეთვე მოთხოვნის შემთხვევაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს ორგანიზაციის სახელით და წარმოადგინოს ორგანიზაცია მესამე პირთან ურთიერთობაში.

5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მერის გადაწყვეტილებით.

6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არ აქვთ უფლება, მერის თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა სკოლა ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

7. დირექტორს უფლება არ აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

8. სკოლის საქმიანობის:

ა) საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მერი;

ბ) კოორდინაციას მერი ახორციელებს მერიის შესაბამისი კურატორი მოადგილის მეშვეობით.

9. ორგანიზაციის დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თუ დირექტორს არ ჰყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა

განხორციელების შეუძლებლობისას დირექტორის დავალებით მოვალეობას ასრულებს ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომელი. თუ დირექტორიც და მოადგილეც მოკლებულიაუფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მერი.

მუხლი 5. სკოლაში გაწევრება

1. სკოლის:
ა) წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მუნიციპალიტეტი;
ბ) წევრობის მსურველი მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად და მიმართავს სკოლის დამფუძნებელ მუნიციპალიტეტს წევრად მიღების შესახებ;
გ) დამფუძნებელი უფლებამოსილია სხვა მუნიციპალიტეტი მიიღოს წევრად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად;
დ) დამფუძნებელი და შემდგომ გაწევრიანებული მუნიციპალიტეტები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით;
ე) წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის ფაქტი საჭიროებს წესდებაში ცვლილებების შეტანას.

მუხლი 6. სკოლის წევრობის შეწყვეტა

1. სკოლის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) წევრი მუნიციპალიტეტის:
ა.ა) გადაწყვეტილებით;
ა.ბ) ლიკვიდაციისას;
ბ) დამფუძნებლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია წევრს შეუწყდეს უფლებამოსილება, თუ წევრის მიმართ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, იგი არ ასრულებს მასზე წესდებით დაკისრებულ მოვალეობებს ან მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება სკოლის მიზნებს.

მუხლი 7. სკოლის შემოსავლები (ფინანსური სახსრები)

1. სკოლის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი /სუბსიდიის/ სახით მიღებული მიზნობრივი თანხები;
ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი;
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ სკოლის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 8. სკოლის ქონება

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სკოლისთვის სარგებლობაში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადაცემული მუნიციპალური ქონება სხვა ქონებასთან ერთად წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.
2. სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან გაყოფის შემთხვევაში, სარგებლობაში

გადაცემული ქონება წარმოადგენს შესაბამისი ბალანსმფლობელის - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებას.
3. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი ქონება (გარდა მეორე მუხლით გათვალისწინებული ქონებისა) სკოლიდან დამფუძნებლის გამოყოფის შემთხვევაში გაიყოფა მუნიციპალიტეტებს შორის, ხოლო ქონების გაყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში დამფუძნებელთა შეთანხმებით მოხდება ერთ-ერთი მუნიციპალიტეტისათვის ტოლფასი ქონების გადაცემა ან/და სრული ანაზღაურება.
4. იმ შემთხვევაში თუ ქონებას შეიძენს მუნიციპალიტეტი ცალ-ცალკე, აღნიშნული ქონება სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან გაყოფის შემდგომ დარჩება მის შემძენ მუნიციპალიტეტს თუ შეთანხმებით სხვა რამ არ იქნა დადგენილი.
5. სკოლა თავისი მიზნების განსახორციელებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იყენებს სკოლის სარგებლობაში გადაცემულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონებას.

მუხლი 9. სკოლის საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება

სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი დადგენილ ვადაში და წარუდგინოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობაზე მერს.

მუხლი 10. სკოლის კონტროლი

1. სკოლის:
ა) საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
ბ) მერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მეშვეობით;
გ) დირექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.
2. მერი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სკოლის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 11. სკოლის რეორგანიზაცია - ლიკვიდაცია

1. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადანაწილდება საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.

2. ამ წესდების დამტკიცება, გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.